გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**

ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 12 ნოემბერი, 2019 წელი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი: 19 ნოემბერი, 2019 წელი

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს საქართველოს უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ჯანდაცვის ადმინისტრირება |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბაკალავრი მენეჯმენტში,[1] 0413 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **დავით ჯიქია** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ნათია დაღელიშვილი** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **მარინა ჩავლეიშვილი** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **თამარ ღუღუნიშვილი** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

[1] იხ. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია კვალიფიკაციის ფორმირების თაობაზე

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს „საქართველოს უნივერსიტეტის" ჯანდაცვის ადმინისტრირების პროგრამა შეიქმნა 2009 წელს, ხორციელდება 2010 წლიდან, პირველი სტუდენტები მიღებულ იქნა ეროვნული გამოცდებით. პროგრამის შექმნა განპირობებული იყო სწრაფად რეფორმირებადი ჯანდაცვის სისტემისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის ჯანდაცვის ადმინისტრატორების, მენეჯერების მიწოდების დეფიციტის შევსება. ბაზრის ანალიზის საფუძველზე, საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან (სკრენტონის უნივერსიტეტი, პენსილვანია, აშშ და ცენტრალური ფლორიდის უნივერსიტეტი, ფლორიდა, აშშ) ერთად შეიმუშავდა თანამედროვე ჯანდაცვის სისტემების მართვის მოთხოვნებზე დაფუძნებული ჯანდაცვის ადმინისტრირების პროგრამა. 2014 წელს, 24 დეკემბერს პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია და №291 ოქმით მიენიჭა აკრედიტაცია 2019 წლის 24 დეკემბრამდე.

აკრედიტაციის ახალი სტანდარტების, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს, ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, ასევე სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებებლისა და დამსაქმებლების გამოკითხვით, მნიშვნელოვნად ჩაითვალა პროგრამის მოდიფიცირება.

პროგრამის დღეს არსებული გამოწვევების შესაბამისად დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მიზნით შეიქმნა პროგრამის განვითარების საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ პროგრამის ავტორები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

2014 წლიდან დღემდე პროგრამის განვითარების ძირითად მახასიათებლად წარმოდგენილია საგნების კრედიტების კორექცია, შეფასების სისტემის გაუმჯობესება, დარგობრივი (ჯანდაცვის ჭრილში) რიგი საგნების ძირითად სასწავლო კომპონენტში გადატანა. აქცენტები გაკეთდა საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას ვადებსა და მეტ დარგობრივ საკონტაქტო, სასემინარო დროზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 12 ნოემბერს თბილისში მერაბ კოსტავას ქუჩა 77ა, შპს „საქართველოს უნივერსიტეტში". 11 ნოემბერს, ვიზიტამდე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (დავით ჯიქია, ნათია დაღელიშვილი, მარინა ჩავლეიშვილი, თამარ ღუღუნიშვილი), 18 საათიდან 20 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა მომდევნო დღეს ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

12 ნოემბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო ჯგუფის განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან – ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის დირექტორი (ონლაინ გასაუბრება), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ჯანდაცვის მენეჯმენტის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ეფექტურად გამოიყენოს ცოდნა ჯანდაცვის პოლიტიკის, ჯანდაცვის სისტემის, მისი ცალკეული ნაწილის, ორგანიზაციული მართვისა და პაციენტორიენტირებული მიდგომის შესახებ პირველადი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჰოსპიტალურ, სადაზღვევო და ფარმაცევტულ სექტორებში.

პროგრამის ამოცანაა მოამზადოს ადმინისტრატორები ჯანმრთელობის დაცვის სექტორისთვის (პირველადი ჯანდაცვა, ჰოსპიტალური და სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურების

სხვადასხვა დონეები, ჯანმრთელობის დაზღვევა), რომლებიც ორგანიზაციაზე გარემო ფაქტორების ცვლილებების შეფასებისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთების საფუძველზე თავიანთი პროფესიული საქმიანობით ხელს შეუწყობენ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტურობის ზრდას და მისი მთავარი მიზნის მიღწევას - მოსახლეობის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სამართლიანია, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და სწავლის შედეგებს. წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია.

პროგრამის სასწავლო შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ამასთან, შინაარსით მოიცავს პირველი საფეხურის შესატყვის ძირითად ცოდნას და უნარებს. სწავლის შედეგები ძირითადად პასუხობს ბაკალავრიატის დონეს, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამაში ფართოდაა წარმოდგენილი როგორც მენეჯმენტის თეორიული და მეთოდოლოგიური საბაზისო საფუძვლები, ისე ჯანდაცვის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი მიმართულებები: სამედიცინო საქმიანობის და ჯანდაცვის პოლიტიკის საკანონმდებლო ბაზა, ჯანდაცვის სექტორში მოთხოვნა-მიწოდების, კონკურენციის და რეგულირების, ჯანდაცვის ობიექტებში სამედიცინო და სამეურნეო საქმიანობის მართვის ორგანიზების საკითხები და საინფორმაციო სისტემების როლი ჯანდაცვის მენეჯმენტში.

აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების ბაზარზე ეფექტურად ოპერირებას უზრუნველყოფს ისეთი დარგობრივი საკითხების ცოდნა, როგორიცაა სამედიცინო სერვისების ორგანიზება, მიწოდება, მარკეტინგი, ხარისხის პრინციპები, საინფორმაციო სისტემები, ჯანდაცვის პროგრამების მართვა-ფორმირება, შედეგების შეფასება, პროგნოზირების მეთოდები, ეთიკა, ბიოეთიკა და სხვ. აგრეთვე, ცოდნა ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ძირითადი პროცესების, სამედიცინო მანიპულაციების, დიაგნოსტირების, მკურნალობის მეთოდების, სამედიცინო ენისა და სხვათა შესახებ.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის სტრატეგიას და სწავლების საფეხურს. ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის კვალიფიკაცია: ბაკალავრი მენეჯმენტში (რეკომენდებულია საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში იყოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით: „მენეჯმენტის ბაკალავრი (0413)"; 240 ECTS კრედიტის დაგროვების შემთხვევაში; ფართო სფერო 04 - ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი; ვიწრო სფერო ბიზნესი და ადმინისტრირება (041); დეტალური სფერო - მენეჯმენტი და ადმინისტრირება.

სწავლება 4 წლიანია და მოიცავს რვა სემესტრს. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს 240 ECTS კრედიტი. მათ შორის: ძირითადი საგნები – 210 ECTS (მათ შორის საბაკალავრო ნაშრომი – 24 ECTS), არჩევითი საგნები – 30 ECTS (მათ შორის სავალდებულოა 12 ECTS აღება ერთ-ერთ უცხო ენაში და თავისუფალი საგანი – 6 ECTS – სტუდენტი თავისი შეხედულებისამებრ ირჩევს უნივერსიტეტში არსებული საბაკალავრო პროგრამის საგნებიდან). სასწავლო პროგრამის მიერ შეთავაზებული საგნების კრედიტების მოცულობა უმეტესწილად წარმოდგენილია 6 ECTS კრედიტიანი საგნების სახით, ასევე, 12 და 24 კრედიტიანი სასწავლო და კვლევითი კომპონენტებით.

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პრაქტიკული უნარების გამომუშავებას უზრუნველყოფს სტაჟირება ჯანდაცვის ადმინისტრირებაში; სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში: სემინარები, სოციალური აქტივობა, სამეცნიერო აქტივობები, საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, სტუდენტების ჩართულობა. ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური კონფერენცია, სადაც აქტიურად არის ჩართულნი ჯანდაცვის ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტები.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლა/სწავლების მეთოდოლოგიას საფუძვლად უდევს კვლევებზე დაფუძნებული ცოდნის დაგროვება, გადაცემა, გამოყენება და განვითარება.

ჯანდაცვის ადმინისტრირების პროგრამის მიხედვით სწავლებისას გამოიყენება შემდეგი სწავლის ფორმები: ინტერაქტიული მეცადინეობები, როლური თამაში, მტკიცებულებაზე დაფუძნებული სწავლება, მცირე კვლევების ჩატარება, პოსტერი, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, გუნდური მუშაობის მეთოდი/ჯგუფში მუშაობის მეთოდი შემთხვევების შესწავლა და ანალიზი, სიმულაცია. გარდა აღნიშნულისა გამოიყენება ისეთი ტრადიციული მეთოდები, როგორებიცაა: ლექცია-სემინარი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ვიდეო-აუდიო სწავლების მეთოდი, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეთოდი, ხელმძღვანელობა/მენტორობა.

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით გამჭვირვალედ და ობიექტურად.

სტუდენტებთან საკონსულტაციო მომსახურების შესახებ უნივერსიტეტს გააჩნია წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს მათ ინფორმირებულობას სასწავლო პროცესების მიმდინარეობის და აკადემიური მიღწევების შესახებ. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ჩართულია სტუდენტების მხარდასაჭერად სასწავლო კურსების შერჩევაში და მათი თანმიმდევრობის განსაზღვრაში.

პროგრამა დაკომპლექტებულია კვალიფიციური პერსონალით. მათ გააჩნიათ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი პირების დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე ითვალისწინებს სტუდენტების კონსულტაციებს.

უნივერსიტეტი უზრუნველყობს კვალიფიციური პერსონალის მოზიდვასა და მათ შენარჩუნებას. დასაქმებულთა მოლოდინები უწყევტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით მეტწილად დაკმაყოფილებულია.

სასწავლო პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი ჩართულია სხვადასხვა სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში, რაც მხარდაჭერილია მეტწილად უნივერსიტეტის მიერ.

უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები და კაბინეტები აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობებითა და ინვენტარით, ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით, ცენტრალიზებური გათბობის სისტემით. უნივერსიტეტს გააჩნია ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გააჩნია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური სისტემა, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგის და განვითარების პროცესებში. პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება პროგრამის განვითარების და აკადემიურ საბჭოებს.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში იყოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით: „მენეჯმენტის ბაკალავრი (0413)“;
  - უნივერსიტეტმა შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
  - რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში „ფინანსური აღრიცხვა“; „ჯანმრთელობის სამართლისა და ბიოეთიკის საფუძვლები“; „ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის საფუძვლები“; „ჯანდაცვის სერვისები და მათი ორგანიზაცია“; „შესავალი პოლიტიკის პროცესში, ინსტიტუტებსა და მართვაში“; „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ცხოვრების ჯანსაღი წესი და ქცევის მართვა“; „ჯანდაცვის კვლევის მეთოდები და პროგრამირების მართვა“ და სხვა ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე ქართულენოვანი „რიდერების“ მომზადება, რომელებიც მითითებული იქნება შესაბამის სილაბუსებში;
  - სასურველია, სტუდენტებს მიეცეთ განმარტებები და ჰქონდეთ შესაძლებლობა სილაბუსში მოიძიონ სასწავლო მასალები;
  - სასურველია სტუდენტების მეტი ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებსა და ფორუმებში, რომლებიც შეეხება კარიერულ განვითარებასა და დასაქმებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია, პროგრამის სავალდებულო საგნების ჩამონათვალიდან კურსი „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ გადავიდეს არჩევით ნაწილში, ვინაიდან, ისწავლება ძირითადი კურსი „ჯანმრთელობის სამართლისა და ბიოეთიკის საფუძვლები“. მის ნაცვლად ჩაისვას მენეჯმენტის მიმართულების რომელიმე სასწავლო კურსი;
  - სასურველია, სასაწავლო კურსი „ადამიანის ორგანოთა სისტემები, კომუნიკაცია და ტერმინოლოგია მედიცინაში“(12 ECTS კრედიტი), შესასწავლი მასალის დიდი მოცულობის გამო, ისწავლებოდეს არა ერთ, არამედ ორი სემესტრის განმავლობაში;
  - სასურველია, პროგრამის არჩევით სასაწლო კურსებს დაემატოს მენეჯმენტის მიმართულების კურსები, რომელიც პროგრამას მისანიჭებელი კვალიფიკაციასთან მიმართებაში გახდის უფრო მდგრადს, კერძოდ, „ოპერაციული მენეჯმენტი“, „სტრატეგიული მენეჯმენტი“, „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“, „ზოგადი მენეჯმენტი“; ასევე, „შესავალი მარკეტინგში/ან სტრატეგიული მარკეტინგი“;
  - სასურველია, ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობების დაზუსტება და რაოდენობრივად შემცირება. კერძოდ, სასწავლო კურსს ჰქონდეს 1 ან 2 წინაპირობა და არა 3 და მეტი. აღნიშნული სტრატეგია სტუდენტს გაუადვილებს სასწავლო კურსების არჩევას და შეუქმნის ნაკლებ პრობლემებს. მაგალითად, საგანს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ცხოვრების ჯანსაღი წესი და ქცევის მართვა“ აქვს ორი წინაპირობა, რაც ვფიქრობ არ არის საჭირო („შესავალი სოციალურ ფსიქოლოგიაში“ და „ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის საფუძლები“); ასევე, საგანს „შესავალი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის ეკონომიკაში“ აქვს 4 წინაპირობა („ინგლისური ენა“; „ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლები“, „აღრიცხვისა და ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები“, „ჯანმრთელობა, ჯანდაცვის სისტემებისა და პოლიტიკის საფუძვლები’); საგანს „ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკის საფუძვლებს აქვს 3 წინაპირობა („ადამიანის ორგანოთა სისტემები, კომუნიკაცია და ტერმინოლოგია მედიცინაში“, „ინგლისური ენა VI (B2/2)“, „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის II“);
  - სასურველია, გადაიხედოს „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის I“ და „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის II“ აღნიშნულ პროგრამაზე სწავლების გამარტივების შესახებ, კერძოდ, კალკულუსის კურსის შეთავაზება ან არსებული სილაბუსების გამარტივება;
  - სასურველია, შემოწმდეს და არ მოხდეს სასწავლო კურსებში ლიტერატურის განმეორება, კერძოდ საგანში: „მართული ჯანმრთელობის საფუძვლები (არჩევითი) და საგანში „შესავალი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის ეკონომიკაში“ (ლიტერატურა მეორდება თ. ვერულავა „ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა“), ასევე, „შესავალი ჯანდაცვის ადმინისტრირებაში“ და „ჯანმრთელობა, მედიცინის ისტორიის საწყისები და ჯანმრთელობის დაცვა“ (გერზმავა ო. „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“);
  - სასურველია, სტუდენტები ასევე შეფასდნენ case study-ის კომპონენტში;
  - სასრველია სტუდენტთა მეტი მოტივირება კონფერენციებში, პროექტებში, გაცვლითი პროგრამებში მათი მეტი აქტივობის მიმართულებით;
  - სასურველია ბიბლიოთეკის ერთიანი საძიებო სისტემა იყოს მოქნილი და მარტივად ხდებოდეს სახელმძღვანელოების ძიების პროცესი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია 2014 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

- მათ შორის, სილაბუსებში სასწავლო აქტივობებისათვის განკუთვნილი დროის ასახვა, საბაკალავრო პროგრამაზე საგნებზე დაშვების წინაპირობების ასახვა, შეფასების სისტემის მოდერნიზება და შეფასების უნიფიცირებული სისტემის დანერგვა.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ჯანდაცვის მენეჯმენტის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ეფექტურად გამოიყენოს ცოდნა ჯანდაცვის პოლიტიკის, ჯანდაცვის სისტემის, მისი ცალკეული ნაწილის, ორგანიზაციული მართვისა და პაციენტორიენტირებული მიდგომის შესახებ პირველადი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჰოსპიტალურ, სადაზღვევო და ფარმაცევტულ სექტორებში.<br>პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რაც გულისხმობს კონკურენტუნარიანი კვალიფიკაციური კადრის მომზადებას, რომელიც ადვილად დასაქმდება ადგილობრივ შრომით ბაზარზე თავის კვალიფიკაციის შესაბამისად.<br>პროგრამის ამოცანაა მოამზადოს ადმინისტრატორები ჯანმრთელობის დაცვის სექტორისთვის (პირველადი ჯანდაცვა, ჰოსპიტალური და სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურების სხვადასხვა დონეები, ჯანმრთელობის დაზღვევა), რომლებიც ორგანიზაციაზე გარემო ფაქტორების ცვლილებების შეფასებისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთების საფუძველზე თავიანთი პროფესიული საქმიანობით ხელს შეუწყობენ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტურობის ზრდას და მისი მთავარი მიზნის მიღწევას - მოსახლეობის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.<br>ასევე პროგრამის ამოცანებია კურსდამთავრებულთა პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი მმართველობითი კომპეტენციების გამომუშავება, რაც გულისხმობს დარგზე თეორიული ცოდნის შეძენას, მენეჯერის პროფესიისთვის სავალდებულო ეთიკური ღირებულებებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, შემდგომ პროფესიულ განვითარებას, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებას, მართვის მიმართულებით კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, ჯანდაცვასა და ეკონომიკის სხვა დარგებში მენეჯერულ საქმიანობას.<br>პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ითვალისწინებს პროგრამა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი https://www.ug.edu.ge;<br>○ საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება; |

- ინტერვიუები ადმინისტრაციის, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. აგრეთვე შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სასწავლო საფეხურს. პროგრამის შედეგები გაწერილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის მინისტრის №69/ნ ბრძანებით განსაზღვრული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლების სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით.

სწავლის შედეგები იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, დაინტერესებული მხარეების გუნდური მუშაობითა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური და ინტერაქციული სწავლების მეთოდი; წიგნზე, ლიტერატურაზე მუშაობის მეთოდი; სისტემური, კრიტიკული, კომპარატივისტული ანალიზის მეთოდი; რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მეთოდი; სამეცნიერო წერითი მუშაობის მეთოდი; პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული ქეისების შესრულება; დამოუკიდებლად კვლევის დიზაინის შექმნა;

სწავლის შედეგები ითვალისწინებს დარგის თეორიული ცოდნის, მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციური, ასევე ანალიტიკური და აუცილებელი სოციალური უნარების განვითარებას.

აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების ბაზარზე ეფექტურად ოპერირებას უზრუნველყოფს ისეთი დარგობრივი საკითხების ცოდნა, როგორიცაა სამედიცინო სერვისების ორგანიზება, მიწოდება, მარკეტინგი, ხარისხის პრინციპები, საინფორმაციო სისტემები, ჯანდაცვის პროგრამების მართვა-ფორმირება, შედეგების შეფასება, პროგნოზირების მეთოდები, ეთიკა, ბიოეთიკა და სხვ. აგრეთვე, ცოდნა ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ძირითადი პროცესების, სამედიცინო მანიპულაციების, დიაგნოსტირების, მკურნალობის მეთოდების, სამედიცინო ენისა და სხვათა შესახებ.

პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად არის ჩართული აკადემიური პერსონალი, რომელიც ყოველი სემესტრის ბოლოს მართავს შეხვედრებს სწავლის შედეგების შეფასების და სხვა მიმდინარე საკითხების განხილვის მიზნით. იმართება მოწვეულ პერსონალთან საკონსულტაციო შეხვედრები, ანალიზდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, ხდება მომდევნო სემესტრებში განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვა.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურა შემდეგნაირია: სასწავლო დისციპლინის შედეგების პირდაპირი შეფასების მიზნით, აკადემიური სემესტრის დასასრულს აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს სასწავლო კურსის შედეგების მიღწევის ანგარიშის მომზადებას სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზის საფუძველზე, რომელიც ხორციელდება Bell-curve გრაფიკისა (ე.წ. გაუსის დიაგრამა) და პირდაპირი შეფასების სხვა მეთოდების მეშვეობით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია ანგარიში წარუდგინოს საგნის კურატორს, საგნის კურატორი კი უზრუნველყოფს ანგარიშის საბოლოო ფორმირებას სასწავლო კურსის განხორციელებაში ჩართულ პირებთან ერთად და წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო დისციპლინების ანგარიშებისა და არაპირდაპირი შეფასების შედეგების წარდგენას პროგრამის განვითარების საბჭოსათვის.

პროგრამის განვითარების საბჭო ანგარიშის მოსმენისა და რეაგირების მიზნით იკრიბება მომდევნო აკადემიური სემესტრის დაწყებამდე. პროგრამის განვითარების საბჭო პროგრამის შედეგების შეფასების ანგარიშის განხილვის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში იმუშავებს რეკომენდაციებს და იღებს გადაწყვეტილებებს შემდგომი ღონისძიებების შესახებ. აღნიშნული პროცესების ფარგლებში ხორციელდება სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების შეფასება და განსაზღვრა. პროცესს მონიტორინგს უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი https://www.ug.edu.ge;
- საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება;
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება, https://www.ug.edu.ge/storage/documentations/May2019/SWf1qxRi5z2DYRhsSRiN.pdf

| |
|---|
| ○ პერსონალის კვლევა სერვისებთან დაკავშირებით;<br>○ პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების სისტემა, https://www.ug.edu.ge/storage/documentations/October2019/vCwhLismu9bMZb2CeCDM.pdf<br>○ ინტერვიუები ადმინისტრაციის, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და | ✓ | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>შპს საქართველოს უნივერსიტეტში ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და ძირითადად უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.<br>საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე.<br>აბიტურიენტები აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს შემდეგ სასწავლო საგნებში: ქართული ენასა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, მათემატიკა/ისტორია.<br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სამართლიანია, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და სწავლის შედეგებს. წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფილია საქართველოს უნივერსიტეტისა და ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ვებ-გვერდების, უნივერსიტეტისა და ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის Facebook-ის გვერდისა და საჯაროდ განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამის მეშვეობით. აღნიშნულის გარდა, საქართველოს უნივერსიტეტი აბიტურიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საინფორმაციო და მხარდამჭერ სერვისებს: ღია კარის დღეები, ინდივიდუალური ტურები, სტაჟირება, ტრეინინგები, საჯარო ლექციები, იმიტირებული ერთიანი ეროვნული გამოცდები, პროფესიების კვირეულები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;<br>• საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი https://www.ug.edu.ge;<br>• საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება;<br>• ინტერვიუები ადმინისტრაციის, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს სწავლების ჰორიზონ-ტალურ და ვერტიკალურ პრინციპებს. კერძოდ, სწავლების ჰორიზონტალური პრინციპის უზრუნ-ველსაყოფად პროგრამის კურიკულუმი ითვალისწინებს თანაპირობებს, ხოლო ვერტიკალური პრინციპი დაცულია წინაპირობების მეშვეობით. სასწავლო დისციპლინების სემესტრულად გადანა-წილება ძირითადად განაპირობებს წინა სემესტრში შეძენილი ცოდნის გაღრმავებასა და უნარების განვითარებას.<br>პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სკრენტონის უნივერსიტეტისა (ურთი-ერთთანამშრომლობის მემორანდუმი) და ცენტრალური ფლორიდის უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირების პროგრამის პერსონალის რეკომენდაციები და აღნიშნული უნივერსიტეტების კურიკულუმების ძირითადი ასპექტები. |

პროგრამა დამუშავებულია საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის გათვალისწინებით, განხორციელებულია უწყვეტი ხარისხის კონტროლი, რისთვისაც გამოიყენება შეფასების პირდაპირი და ირიბი მექანიზმები. პირდაპირ მექანიზმებს შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სტუდენტთა სემესტრული აკადემიური მოსწრების ანალიზი. ასევე, სტუდენტთა და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგთა გამოკითხვების ანალიზი, რაც წარმოადგენს პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საფუძველს.

პროგრამის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდა განდაცვის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პოგრამის განვითარების საბჭო (2018 წელი, 25 დეკემბერი), რომლის წევრები არიან პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე პასუხისმგებელი თანამშრომელი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი. ასევე, აღსანიძნავია, რომ აქტიური თანამშრომლობა ამერიკული სააკრედიტაციო სააგენტოს CAHME-სთან, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვის შესახებ რეკომენდაციების მიმართულებით.

პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას.

ჯანდაცვის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კურიკულუმი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემასთან და აგებულია იმგვარად, რომ ერთი აკადემიური წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს არაუმეტეს 75 ECTS კრედიტს.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეეაბამება სწავლების საფეხურს. ჯანდაცვის ადმინისრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის კვალიფიკაცია: ბაკალავრი მენეჯმენტში (რეკომენდებულია საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში იყოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით: „მენეჯმენტის ბაკალავრი (0413)"); 240 ECTS კრედიტის დაგროვების შემთხვევაში; ფართო სფერო 04 - ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი; ვიწრო სფერო ბიზნესი და ადმინისტრირება (041); დეტალური სფერო - მენეჯმენტი და ადმინისტრირება.

სტუდენტმა ჯანდაცვის ადმინისტრირება, მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს 240 ECTS კრედიტი. იგი მოიცავს პროგრამის ძირითად საგნებს – 210 ECTS (მათ შორის საბაკალავრო ნაშრომის შესრულება – 24 ECTS), და არჩევით საგნებს – 30 ECTS (მათ შორის სავალდებულოა 12 ECTS აღება ერთ-ერთ უცხო ენაში, რომელსაც სტუდენტი ირჩევს ენების სავალდებულო არჩევითი ბლოკიდან. ასევე აუცილებელია ინგლისურ ენის B2/2 კრედიტის ქონა, ხოლო თავისუფალ საგანს – 6 ECTS – სტუდენტი თავისი შეხედულებისამებრ ირჩევს უნივერსიტეტში არსებული საბაკალავრო პროგრამის საგნებიდან). სასწავლო პროგრამის მიერ შეთავაზებული საგნების კრედიტების მოცულობა უმეტესწილად წარმოდგენილია 6 ECTS კრედიტიანი საგნების სახით, ასევე, 12 და 24 კრედიტიანი სასწავლო და კვლევითი კომპონენტებით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, მოქნილია, თანმიმდევრული, კერძოდ, მარტივიდან რთულისაკენ, საფუძვლებიდან მიმართულების ზოგად კურსებსა და მაპროფილებელ სასწავლო კურსებზე. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას და აგებულია საქართველოს კანონმდებლობის წესის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის აღმწერისა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

დადებითი შეფასების მიუხედავად საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია რეკომენდაციებსა და რჩევებში:

კერძოდ, სასურველია არჩევით სასწავლო კურსებს დაემატოს ზოგიერთი საგანი, რომლებიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს მენეჯერის კვალიფიკაციის მქონე აკადმიური ხარისხის კურსდამთავრებულისთვის. მაგალითად, „ოპერაციული მენეჯმენტი“, „სტრატეგიული მენეჯმენტი“, „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“, „ზოგადი მენეჯმენტი“, „შესავალი მარკეტინგში“. ასევე, შესაძლებელია ზოგიერთი სასწავლი კურსი, მაგალითად, „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ გადატანილი იყოს არჩევითი საგნების ბლოკში და მის ნაცვლად სავალდებულო კურსებს დაემატოს მენეჯმენტის მიმართულების რომელიმე, ჩვენს მიერ ჩამოთვლილი, საგანი.

გარკვეული შენიშვნები გაგვაჩნია წინაპირობებთან დაკავშირებით. კერძოდ, ზოგიერთ სასწავლო კურსს აქვს 4 ან 3 წინაპირობა. მაგალითად, საგანს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ცხოვრების ჯანსაღი წესი და ქცევის მართვა“ აქვს ორი წინაპირობა, რაც ვფიქრობ არ არის საჭირო („შესავალი სოციალურ ფსიქოლოგიაში“ და „ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის საფუძლები“); ასევე, საგანს „შესავალი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის ეკონომიკაში“ აქვს 4 წინაპირობა („ინგლისური ენა“, „ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლები“, „აღრიცხვისა და ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები“, „ჯანმრთელობა, ჯანდაცვის სისტემებისა და პოლიტიკის საფუძვლები“); საგანს „ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკის საფუძვლებს აქვს 3 წინაპირობა („ადამიანის ორგანოთა სისტემები, კომუნიკაცია და ტერმინოლოგია მედიცინაში“, “ინგლისური ენა VI (B2/2)“, „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის II“).

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათემატიკის სწავლებასთან დაკავშირებული შეხედულებები. გამომდინარე აქედან, სასურველია, აღნიშნულ პროგრამაზე „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის I“ და „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის II“ სწავლება გამარტივდეს. კერძოდ, კალკულუსის კურსის შეთავაზება ან პროგრამის სილაბუსების გამარტივება. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ არსებული მდგომარეობით, მისაღებ გამოცდებზე პროგრამა მათემატიკით იღებს მხოლოდ 11 სტუდენტს; ასევე, სტუდენტებმა გამოხატეს სურვილი სასწავლო კურსი „ადამიანის ორგანოთა სისტემები, კომუნიკაცია და ტერმინოლოგია მედიცინაში“ (12 ECTS კრედიტი) ისწავლებოდეს არა ერთ, არამედ ორი სემესტრის განმავლობაში შესასწავლი მასალის დიდი მოცულობის გამო.

დაფიქსირდა ტექნიკური ხასიათის შეცდომები, მაგალითად, სილაბუსში „საოფისე კომპიუტერული პროგრამები“ არ წერია წინაპირობა; საგანში „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის II“ წინაპირობად წერია კალკულუსი 1, რომელიც არ არის წარმოდგენილი პროგრამაში გათვალისწინებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- წარმოდგენილი სილაბუსების ანალიზი;
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში იყოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით: „მენეჯმენტის ბაკალავრი (413)“
- უნივერსიტეტმა შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის სავალდებულო საგნების ჩამონათვალიდან კურსი „შესავალი სამართალმცოდნეობაში" გადავიდეს არჩევით ნაწილში, ვინაიდან, ისწავლება ძირითადი კურსი „ჯანმრთელობის სამართლისა და ბიოეთიკის საფუძვლები". მის ნაცვლად ჩაისვას მენეჯმენტის მიმართულების რომელიმე სასწავლო კურსი;
- სასურველია, სასაწავლო კურსი „ადამიანის ორგანოთა სისტემები, კომუნიკაცია და ტერმინოლოგია მედიცინაში"(12 ECTS კრედიტი), შესასწავლი მასალის დიდი მოცულობის გამო, ისწავლებოდეს არა ერთ, არამედ ორი სემესტრის განმავლობაში;
- სასურველია, პროგრამის არჩევით სასაწლო კურსებს დაემატოს მენეჯმენტის მიმართულების კურსები, რომელიც პროგრამას მისანიჭებელი კვალიფიკაციასთან მიმართებაში გახდის უფრო მდგრადს, კერძოდ, „ოპერაციული მენეჯმენტი", „სტრატეგიული მენეჯმენტი", „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი", „ზოგადი მენეჯმენტი"; ასევე, „შესავალი მარკეტინგში/ან სტრატეგიული მარკეტინგი";
- სასურველია, ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობების დაზუსტება და რაოდენობრივად შემცირება. კერძოდ, სასწავლო კურსს ჰქონდეს 1 ან 2 წინაპირობა და არა 3 და მეტი. აღნიშნული სტრატეგია სტუდენტს გაუადვილებს სასწავლო კურსების არჩევას და შეუქმნის ნაკლებ პრობლემებს. მაგალითად, საგანს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ცხოვრების ჯანსაღი წესი და ქცევის მართვა" აქვს ორი წინაპირობა, რაც ვფიქრობ არ არის საჭირო („შესავალი სოციალურ ფსიქოლოგიაში" და „ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის საფუძლები"); ასევე, საგანს „შესავალი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის ეკონომიკაში" აქვს 4 წინაპირობა („ინგლისური ენა"; „ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლები", „აღრიცხვისა და ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები", „ჯანმრთელობა, ჯანდაცვის სისტემებისა და პოლიტიკის საფუძვლები'); საგანს „ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკის საფუძვლებს აქვს 3 წინაპირობა („ადამიანის ორგანოთა სისტემები, კომუნიკაცია და ტერმინოლოგია მედიცინაში", „ინგლისური ენა VI (B2/2)", „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის II").
- სასურველია, გადაიხედოს „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის I" და „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის II" აღნიშნულ პროგრამაზე სწავლების გამარტივების შესახებ, კერძოდ, კალკულუსის კურსის შეთავაზება ან არსებული სილაბუსების გამარტივება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ძირითადი მიმართულების სავალდებულო (210 ECTS), პროგრამის არჩევით (12-18 ECTS) და სავალდებულო ასარჩევ (სტუდენტის მიერ ასარჩევი სულ 12 ECTS) სასწავლო კურსებს, ასევე, თავისუფალი სასწავლო კურსს (6 ECTS), რომელსაც სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტში არსებული ნებისმიერი სასწავლო პროგრამის საგნებიდან. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მეტწილად წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგის ნაწილს და შეესაბამება როგორც შინაარსს, ასევე ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სახელმძღვანელო პრინციპებს, აგრეთვე, უმაღლესი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრულ კრედიტების განაწილებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და გამომდინარეობს სტუდენტის დატვირთვიდან და ასათვისებელი მასალის მოცულობიდან.

ჯანდაცვის ადმინისტრირების პროგრამის სასაწავლო კურსებს სემესტრების შესაბამისად გააჩნია თანმიმდევრული სტრუქტურა. თითოეულ სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები და თანაპირობები ლოგიკურად არის შემუშავებული. პროგრამის სტრუქტურა ადეკვატურია სტუდენტისთვის და ლოგიკურად აღსაქმელი.

საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნების სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია აღნიშნული სასწავლო კომპონენტების შინაარსთან, პროგრამის სწავლის შედეგებთან და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან, რასაც ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკა.

სასწავლო კურსის სილაბუსები უზრუნველყოფილია, უმეტესწილად, უახლესი ლიტერატურით, გამონაკლის შემთხვევებში წარმოდგენილია ძველი კლასიკური და თანამედროვე სწავლებაში აღიარებული ლიტერატურა. ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და განთავსებულია UG ბიბლიოთეკაში. სტუდენტს, მის ელექტრონულ ბაზაში, „ჩემი UG"-ს მეშვეობით, აქვს შესაძლებლობა შეუკვეთოს სილაბუსში წარმოდგენილი სახელმძღვანელოების ქსეროასლები, ან შეიძინოს UG წიგნების მაღაზიაში. ასევე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ელექტრონული და მატერიალური ფორმით, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები: HINARI, ELSEVIER, JSTOR, HeinOnline.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსების, სხვა დოკუმენტაციის, ასევე, ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუებიდან გამოვლენილ გარემოებების გათვალისწინებით, პროგრამის კომპონენტების შინაარსის, დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები. კერძოდ, უმეტესი სასწავლო კურსის სილაბუსებში ძირითადად გამოყენებულია მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა. მაგალითად: „ფინანსური აღრიცხვა"; „ჯანმრთელობის სამართლისა და ბიოეთიკის საფუძვლები"; „ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის საფუძვლები"; „ჯანდაცვის სერვისები და მათი ორგანიზაცია"; „შესავალი

| |
|---|
| პოლიტიკის პროცესში, ინსტიტუტებსა და მართვაში“; „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ცხოვრების ჯანსაღი წესი და ქცევის მართვა“; „ჯანდაცვის კვლევის მეთოდები და პროგრამირების მართვა“ და სხვა. სასურველია, აღნიშნულ სასაწავლო კურსებში, ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე ქართულ ენაზე მომზადდეს „რიდერი“ მაინც (საუკეთესოა ვარიანტია სახელმძღვანელო). მით უფრო, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა პედაგოგების მხრიდან ქართულ ენაზე მომზადებული მასალის სტუდენტებისათვის გაცნობის შესახებ ინფორმაცია. გამომდინარე აქედან, საჭიროა ლიტერატურის განახლება და ქართულენოვანი ლიტერატურული წყაროების მიწოდება სტუდენტებისთვის.<br>ზოგიერთ საგანში, მაგალითად, „მართული ჯანმრთელობის საფუძვლები“ (არჩევითი) და საგანში „შესავალი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის ეკონომიკაში“ ლიტერატურა მეორდება (თ. ვერულავა „ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა“). ასევე, საგნებში „შესავალი ჯანდაცვის ადმინისტრირებაში“ და „ჯანმრთელობა, მედიცინის ისტორიის საწყისები და ჯანმრთელობის დაცვა“ ( გერზმავა ო. „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;<br>• საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>• სწავლის შედეგების რუქა;<br>• საბიბლიოთეკო სერვისის შემოწმება;<br>• ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>• რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში „ფინანსური აღრიცხვა“; „ჯანმრთელობის სამართლისა და ბიოეთიკის საფუძვლები“; „ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის საფუძვლები“; „ჯანდაცვის სერვისები და მათი ორგანიზაცია“; „შესავალი პოლიტიკის პროცესში, ინსტიტუტებსა და მართვაში“; „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ცხოვრების ჯანსაღი წესი და ქცევის მართვა“; „ჯანდაცვის კვლევის მეთოდები და პროგრამირების მართვა“ და სხვა ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე ქართულენოვანი „რიდერების“ მომზადება, რომელებიც მითითებული იქნება შესაბამის სილაბუსებში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>• სასურველია, შემოწმდეს და არ მოხდეს სასწავლო კურსებში ლიტერატურის განმეორება, კერძოდ საგანში: „მართული ჯანმრთელობის საფუძვლები (არჩევითი) და საგანში „შესავალი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის ეკონომიკაში“ (ლიტერატურა მეორდება თ. ვერულავა „ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა“), ასევე, „შესავალი ჯანდაცვის ადმინისტრირებაში“ და „ჯანმრთელობა, მედიცინის ისტორიის საწყისები და ჯანმრთელობის დაცვა“ (გერზმავა ო. „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“). |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

